

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საზღვრავს დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთ-დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

თელავის მუნიციპალიტეტის ფართობია 197 569 ჰა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 33 156 ჰა უკავია. მუნიციპალიტეტის მიწების დიდი ნაწილი უჭირავს ფართოფოთლოვან ტყეებს. მუნიციპალიტეტის ჰიდროლოგიური ქსელი წარმოდგენილია მდ. ალაზნით და მისი შენაკადებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12°C, ნალექების რაოდენობა 700-800 მმ წელიწადში.

2012 წლის მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 71 200 კაცს, აქედან ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 19 400 კაცს, სოფლად კი ცხოვრობს 51 800 კაცი. მუნიციპალიტეტში 23 დასახლებაა, მათ შორის 22 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 36 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ²) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და მომსახურების სფერო. მუნიციპალური ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლებისა და გამოთანაბრებითი ტრანსფერის ჩათვლით შეადგენს 15 387 300 ლარს. გამგეობის თანამშრომლები თვლიან, რომ წამყვანი ეკონომიკური დარგი შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობა, რადგანაც მუნიციპალიტეტში დიდია სახნავ-სათესი და სათიბ-სამოვარი მიწების ფართობი. ამას გარდა, მათი მოსაზრებით სატყეო მეურნეობის ბაზაზე შესაძლებელი ტურიზმის განვითარებაც, კერძოდ სანადირო მეურნეობების და ტურების მოწყობა.

2. ბუნებრივი საფრთხეები

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა ძლიერი წვიმა, ძლიერი ქარი, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, გვალვა, მდ. ნაპირის ეროზია. ამათგან უკანასკნელ წლებში ყველაზე ხშირია ძლიერი ქარები და ძლიერი წვიმა. ბოლო დროს იმატა სეტყვამ, რასაც მოყვა წყალდიდობები და მდინარეთა ნაპირების წარეცხვა. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული ბუნებრივი საფრთხეების რაოდენობა ბოლო 10 წელიწადში მომატებულია; ასევე მომატებულია გვალვიანობაც. თუმცა, ეს ინფორმაცია არ ემყარება მეტეოროლოგიურ/ჰიდროლოგიურ დაკვირვებებს და ობიექტურ სტატისტიკას, რადგანაც მუნიციპალიტეტში მოქმედი მეტეო-ჰიდროლოგიური სადგურები არაა და არც თავად გამგეობის მიერ იწარმოება რაიმე სახის სტატისტიკა უამინდობის, წყალდიდობების, მდინარის ნაპირების ეროზიის, მეწყერის თუ სხვა ბუნებრივი საფრთხეების შესახებ.

ბუნებრივი სტიქიების ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების შესახებ გამგეობის თანამშრომლებს არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მხოლოდ აღნიშნეს, რომ ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს მიწებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. ამასთან, მეწყრული მოვლენები ძირითადად საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას (გზებს, ხიდებს) აზიანებს; ხოლო წყალდიდობები და მდინარის ნაპირების წარეცხვა აზიანებს სახნავ-სათეს ნაკვეთებს. წყალდიდობა/წყალმოვარდნა საფრთხეს უქმნის ქ. თელავის სოფლებს – საფრთხის ზონაში ძირითადად ხევები და ხიდები ყვება. ზამთრის პერიოდში ბუნებრივი საფრთხეების ზონაში გარკვეული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურაც ხვდება.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ბუნებრივი საფრთხეების მიერ ბოლო 10 წელიწადში მიყენებული ზიანის ეკონომიკური გაანგარიშება.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა, ხოლო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო კომისია და სამაშველო სამსახური. გამგეობის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს გააჩნია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს ძირითადად ხანძარს, ნაწილობრივ წყალდიდობას, გვალვას და მეწყერს. ადგილობრივ ხელისუფლებას ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების მცირედი რესურსი გააჩნია, შეუძლია მძიმე ტექნიკის მობილიზება (ხევების გაწმენდა, გზების გასუფთავება).

ბოლო 10 წელიწადში მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის ზომების სახით ძირითადად ხდება ნაპირდამცავი მიწაყრილების მოწყობა, მდინარის კალაპოტისა და სანიაღვრე არხების გაწმენდა.

3. სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება

მიწის რესურსი

თელავის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური დარგია. ადმინისტრაციული ერთეული უპირატესად მევენახეობის განვითარებით გამოირჩევა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოიცავს 33 156 ჰა-ს. მათ შორის სახნავ-სათესი შეადგენს 16 327 ჰა, ხეხილის ბაღები 1 145 ჰა, სათიბ-სადოვარი კი 6 406 ჰა-ია.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი ბოლო 10 წელიწადში არ შემცირებულა და არც მათი დეგრადაცია მომხდარა.

მემცენარეობა

თელავის ადმინისტრაციულ ერთეულში სახნავ-სათეს მიწებს 16 327 ჰა უკავია, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 49%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულ კულტურად ვაზი სახელდება, რომლის მოსავლიანობაც ბოლო წლებში არ შეცვლილა. სხვა პრიორიტეტული კულტურების შესახებ სამუშაო ჯგუფს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ მოუწოდებია, მხოლოდ აღნიშნეს, რომ ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა მცენარეული კულტურების მოსავლიანობის შემცირება, ძირითად მიზეზებად კი სახელდება მეურნეობის არაეფექტური გაძღოლა, არასაკმარისი რწყვა და უამინდობა. ამასთან, მოსავლიანობის შემცირებას იწვევს მაღალი დანახარჯები ტექნიკაზე და საწვავზე.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახნავი მიწების დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირის, მისი გაუმართაობისა და სახსრების უქონლობის გამო დაუმუშავებელია. მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების დაახლოებით 80% საჭიროებს რწყვას, თუმცა საირიგაციო სისტემის სიმცირე და ცუდი მდგომარეობა აფერხებს რწყვის პროცესს. ამასთან, სახნავი მიწების დაახლოებით 5% საჭიროებს დრენაჟს, თუმცა მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემა არ არის.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა მუნიციპალიტეტში მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითად წყაროს წარმოადგენს, თუმცა სათიბ-სადოვრების რესურსი მცირეა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 19%-ს (6 406 ჰა) შეადგენს.

2012 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 9 450 სულს შეადგენს და მათი სულადობა ბოლო 10 წლის მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია მეცხვარეობა და აღრიცხულია დაახლოებით 25 600 სული ცხვარი. მსხვილფეხა პირუტყვის და ცხვრის ხორცპროდუქტიულობისა და წველადობის შესახებ სამუშაო ჯგუფი ინფორმაციას არ ფლობს. საქონლის დანაკარგი უკანასკნელ წლებში არ გაზრდილა.

მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, ტერიტორიული ერთეულის საძოვრებისათვის ერთ ჰექტარზე მოდის დაახლოებით 1.5 მსხვილფეხა პირუტყვი და 4 ცხვარი. თელავის მუნიციპალიტეტის საძოვრებზე სხვა მუნიციპალიტეტიდან საქონელის შემოყვანა არ ხდება. სამუშაო ჯგუფი თვლის, რომ მუნიციპალიტეტის საძოვრები საკმარისი არ არის ამდენი სული საქონლის გამოსაკვებად, მუნიციპალიტეტის საძოვრებზე ადგილი აქვს ჭარბ მოვებას და ნიადაგის ეროზიას. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში სათიბ-სადოვრების შესანარჩუნებლად არანაირ ღონისძიებებს არ მიმართავენ.

პროექტები და სერვისები

მუნიციპალიტეტში სუსტადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო სერვისები, როგორცაა ვეტერინარული მომსახურება და მექანიზაციის ცენტრები.

მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლის მეურნეობის სამსახური, თუმცა სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების გავრცელებით ძირითადად არასამთავრობო სექტორია დაკავებული. ბოლო 10 წელიწადში ადგილობრივ ხელისუფლებას სოფლის მეურნეობაში პროექტები არ განუხორციელებია. არასამთავრობო სექტორის პროექტებით ხდება მაღალპროდუქტიული და გვალვაგამძლე კულტურების შემოტანა და შესაბამისი კონსულტაციები.

არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნია.

4. ტყის რესურსები

თელავის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსებით. სამუშაო ჯგუფს ტყის საერთო ფართობისა და ტყეების კატეგორიების მიხედვით ფართობების შესახებ მონაცემები არ მოუწოდებია.

გამგეობის თანამშრომლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილი აქვს ტყის უკანონო ჭრას. ძირითადად იჭრება სამრეწველო ტყე. ადგილი აქვს ტყის კომერციულ, სოციალურ და მოვლით ჭრას. მათი ვარაუდით, დაახლოებით 15–20% იჭრება უკანონოდ. ბოლო 10 წლის განმავლობაში ტყის უკანონო ჭრა გაიზარდა. რაც სათბობის სიძვირემ გამოიწვია.

ადმინისტრაციულ ერთეულში ისტორიულად არსებობდა ქარსაცავი ზოლები, მუნიციპალიტეტის გამგეობას არა აქვს ინფორმაცია მათი ინვენტარიზაციის შესახებ, რაც ბოლო 10 წელია არ ჩატარებულა, თუმცა აღნიშნავენ, რომ ქარსაცავი ზოლების რაოდენობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ტყის ხანძრები მუნიციპალიტეტში ხშირი არაა. კონკრეტულად რამდენი ჰექტარი ტყე დაიწვა სტატისტიკა არ არის. ტყის ხანძრების ძირითად მიზეზებად ადამიანთა დაუდევრობა დასახელდა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, ტყის ბუნებრივად აღდგენა ფაქტიურად არ ფიქსირდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტები არ განხორციელებულა. ადმინისტრაციულ ერთეულში საწარმო მეურნეობა არ არის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ტყის აღსადგენად.

5. წყლის რესურსები

თელავის მუნიციპალიტეტს წყლის რესურსი ზომიერად გააჩნია. თუმცა, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სანდო ინფორმაცია წყლის შეფასებული რესურსის შესახებ. წყლის რესურსები წარმოდგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით. თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროლოგიურ არტერიას ქმნის მდინარე ალაზანი და მისი აუზი. საყურადღებო ჰიდროლოგიური ერთეულია მდინარე ლოპოტა, რომელიც ზოგჯერ ღვარცოფულია. მისი მთავარი შენაკადია დიდხევი. მუნიციპალიტეტში არ არსებობს მოქმედი ჰიდროლოგიური სადგური, შესაბამისად, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

ტერიტორიულ ერთეულში არც წყლის ხარისხის მონიტორინგი ტარდება. სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, წყლის დაბინძურების შემთხვევები არ ფიქსირდება.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგება დაფუძნებულია ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე. ადმინისტრაციულ ერთეულში ირიგაციისთვის ძირითადად ზედაპირული წყლები გამოიყენება. მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას ცენტრალიზებული წყალმომარაგება არ აქვს. მოსახლეობის ნაწილი წყალმომარაგებისთვის მიწისქვეშა წყალს იყენებს, თუმცა არსებული წყლის რესურსი საკმარისი არ არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მოსახლეობა ზაფხულის პერიოდში. ზედაპირული წყლებიდან აღების შემთხვევაში წყალდიდობის დროს წყალმიმღებ ნაგებობებს პრობლემები ექმნება. სარწყავი წყლის მოხმარებაზე სამუშაო ჯგუფს ინფორმაცია არ გააჩნია. მათი ცნობით, არსებული სარწყავი სისტემების ძირითადი ნაწილი მწყობრიდან არის გამოსული.

6. მდინარის ნაპირების დინამიკა

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, თელავის მუნიციპალიტეტში მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული მასალის მოპოვება არ ხდება. ადმინისტრაციულ ერთეულში არის ხელოვნური წყლის წყალსაცავი, მდინარე ლოპოტაზე, რომელიც არის მრავალფუნქციური. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, მდინარის კალაპოტში ხდება კალაპოტის დახრამვა, ბევრ ადგილას ხდება მდინარის ნაპირების ეროზია/წარეცხვა. მდინარის ნაპირების ეროზიის შედეგად ზიანდება გზები და საფრთხე ექმნება ხიდებს.

7. ინდუსტრია/წარმოება

თელავის მუნიციპალიტეტში წარმოება ცუდად არის განვითარებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მცირე ზომის გადამამუშავებელი ფაბრიკები, ღვინის ქარხნები, მცირე პურის საცხობები.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, წყლის მრიცხველები დამონტაჟებულია ზოგიერთ საწარმოში. საწარმოთა გარკვეული რაოდენობა იყენებს ენერგო-ეფექტურ მანქანა დანადგარებს.

8. ნარჩენების მართვა

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვა ხორციელდება სპეციალური სამსახურის მიერ, რომელიც ემსახურება ქ. თელავს და მის მიმდებარე სოფლებს. მუნიციპალიტეტში სანიტარული ნაგავსაყრელი არ არსებობს. ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ნარჩენების განთავსება ხდება ქ. თელავის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნაგავსაყრელზე ნაჟური წყლების და ნაგავსაყრელის აირების კონტროლი არ ხდება. სამუშაო ჯგუფს ინფორმაცია არ გააჩნია, რა მოცულობის ნარჩენების განთავსება ხდება პოლიგონზე ამ სამსახურის მიერ.

მუნიციპალიტეტში მრავლადაა არალეგალური ნაგავსაყრელები, რადგან სოფლების უმრავლესობას ნაგავსაყრელი არ აქვს, რის გამოც მოსახლეობის მიერ ნაგავი იყრება ე. წ. ხევებში. მუნიციპალიტეტში კომპოსტირების პრაქტიკა დანერგილი არაა.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, უკანასკნელ დეკადაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროექტები არ განხორციელებულა.

9. გენდერი

შეკითხვაზე, სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის შემცირება ქალზე უფრო მტკივნეულად აისახება თუ მამაკაცზე, შეხვედრის მონაწილეების პასუხი იყო, რომ ეს ორივე სქესის წარმომადგენელზე თანაბრად აისახება. წყლის დეფიციტი ქალს შეუქმნის პრობლემას, რადგან ოჯახში ქალს უწევს ძირითადად საქმიანობა, ტყის რესურსების შემცირება კაცს შეუქმნის მეტ პრობლემებს, რადგან ოჯახის მომმარაგებლად მას თვლიან.

სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ კლიმატური პირობების ცვლილებების მიმართ მამაკაცი უფრო მგრძობიარეა, რადგან სავსე პირობებში საქმიანობა ძირითადად მამაკაცს უწევს.

10. ადგილობრივი მმართველობა

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების მცირე კატეგორიას გავლილი აქვს სწავლება კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგრამ არ იცნობენ „საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებას კლიმატის ცვლილებებზე“.

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების შეფასებით, მუნიციპალიტეტს კლიმატის ცვლილებებისადმი მოწყვლადს ხდის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები, კერძოდ კი საირიგაციო სისტემების გაუმართაობა და სოფლის მეურნეობის სამსახურების განუვითარებლობა. ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა და ტყის მასივების აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები; სასმელი წყლის დეფიციტი და გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები (ქარიშხალი, სეტყვა, წვიმა)

უკანასკნელ წლებში, ბუნებრივი საფრთხეების შედეგების აღმოსაფხვრელად, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტებიდან სახელდება: წყალმომარაგების სისტემების და გზების რეაბილიტაცია, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაცია და ქ. თელავის რეკონსტრუქცია (2012 წელი).

11. დასკვნები და რეკომენდაციები

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შეფასების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დავუკავშიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა ძლიერი წვიმა, ძლიერი ქარი, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, გვალვა, მდ. ნაპირის ეროზია. ამათგან უკანასკნელ წლებში ყველაზე ხშირია ძლიერი ქარები და ძლიერი წვიმა. ბოლო დროს იმატა სეტყვამ, რასაც მოყვა წყალდიდობები და მდ ნაპირების წარეცხვა, ბოლო 10 წელიწადში მომატებულია გვალვიანობა. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს მიწებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. რაიმე დამადასტურებელი ცნობები ბუნებრივი კატასტროფების ზონაში მოხვედრილი მოსახლეობის და ტერიტორიების შესახებ სამუშაო ჯგუფს არ მოუწოდებია.

თელავის მუნიციპალიტეტისთვის ჯერ-ჯერობით არაა შეფასებული კლიმატური პირობების მოსალოდნელი ცვლილებები და შესაბამისი საფრთხეები. თუმცა საერთო ტენდენციიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალში კლიმატური ცვლილებები კიდევ უფრო გაამწვავებს ისეთ მოვლენებს, როგორცაა მდინარეთა ნაპირების წარეცხვა, გვალვიანობა, ეროზია, მეწყერი და გაზრდის მუნიციპალიტეტის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების მიმართ.

სოფლის მეურნეობა - სოფლის მეურნეობა თელავის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. სასოფლო-სამეურნეო მიწებს დეგრადაცია არ განუცდია.

ადმინისტრაციული ერთეული უპირატესად მევენახეობის განვითარებით გამოირჩევა. მემცენარეობის დარგის მნიშვნელოვანი გამოწვევებია მეურნეობის არაეფექტური წარმართვა, საირიგაციო სისტემების სიმწირე და ცუდი მდგომარეობა, მომატებული გვალვიანობა და წყალდიდობები. ამ მიზეზების გამო მუნიციპალიტეტში შემცირებულია მოსავლიანობა. ამასთან, მოსავლიანობის შემცირებას იწვევს მაღალი დანახარჯები ტექნიკაზე და საწვავზე.

მეცხოველეობის დარგის ძირითადი გამოწვევებია: სათიბ-საძოვრების დეფიციტი, ხდება საძოვრების გადამოვება და შედეგად ეროზია. ანუ, მუნიციპალიტეტში არსებული საძოვრები არასაკმარისია ამ დარგის მდგრადი განვითარებისთვის, თუ გამოყენებული იქნა პირუტყვის გამოკვების და სათიბ-საძოვრების მოვლა-შენახვის თანამედროვე მეთოდები.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - თელავის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსები დიდია. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა (მათ შორის უკანონო), რასაც, როგორც ჩანს, მზარდი ტენდენცია აქვს და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი

შემცირება. ამასთან, ტყეების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება. როგორც აღინიშნა, ტყის ჭრა ბუნებრივი საფრთხეების მომატების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს.

წყლის რესურსები და წყალმომარაგება - თელავის მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი ზომიერია. წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ტერიტორიულ ერთეულში არც წყლის ხარისხის მონიტორინგი ტარდება.

მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის გამოიყენება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; მიწისქვეშა წყლებით ძირითადად სოფლის მოსახლეობა სარგებლობს. თუმცა არსებული წყლის რესურსი საკმარისი არ არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მოსახლეობა ზაფხულის პერიოდში.

მუნიციპალიტეტის მხოლოდ ზოგიერთ დასახლებას გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება. ამ დასახლებების წყალმომარაგებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ისაა, რომ წყალდიდობის დროს წყალმიღებ ნაგებობას პრობლემები ექმნება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - ბუნებრივი საფრთხეების შედეგების აღმოსაფხვრელად, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტებიდან სახელდება: წყალმომარაგების სისტემების და გზების რეაბილიტაცია, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაცია და ქ. თელავის რეკონსტრუქცია (2012 წელი).

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის გამგეობას არასრული ინფორმაცია გააჩნია ისეთი საკითხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ და როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და წყალმომარაგება, ტყის რესურსები. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას გაანალიზონ მოსალოდნელი საფრთხეები, ასევე დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- ქარსაცავი ზოლების აღდგენა, რაც შეამცირებს ნიადაგის ეროზიის პოტენციალს და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიციხეებისას.
- სატყეო მეურნეობასთან ერთად ტყის აღდგენა-განაშენიანების სტრატეგიის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ეროზიული პროცესების და ზედაპირული ჩამონადენს დარეგულირებას, შეამცირებს მდინარეთა ნაპირების წარეცხვას, ასევე ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას.
- მემცენარეობის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის სარწყავი სისტემის აღდგენა-გაფართოების სტრატეგიის მომზადება და ამ სტრატეგიის ფარგლებში მოკლევადიანი პროექტების შემუშავება-განხორციელება.
- სათიბ-სადოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას პირუტყვის ძოვების ნორმები კონკრეტული საძოვრებისთვის. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება).
- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.